რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

ეკონომიკური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების გრაფიკული ინტერპრეტაციის შესახებ

About the Graphical Interpretation of the Objective Law of the Economic Competition

О графической интерпретации объективной закономерности экономической конкуренции

თბილისი
2015

მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალიზაციით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – რევაზ ლორთქიფანიძის შრომა "ეკონომიკური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების გრაფიკული ინტერპრეტაციის შესახებ" წარმოადგენს წმიდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას.

განკუთვნილია ეკონომიკის ქრისტიანულ-ზოგადთეორიული საფუძვლებისა და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დ. ჩლაიძე

რეცენზენტები:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია.

ISBN 978-9941-0-8317-4 (PDF)

ეკონომიკური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების გრაფიკული ინტერპრეტაციის შესახებ

„მხოლოდ კომპეტენტურობის მაქსიმუმი ყველგან და ყველაფერში განაპირობებს მოთხოვნა-მიწოდების საჭირო წონასწორობას“. ავტორი

"Только максимальная компетенция везде и во всем обусловливает нужное равновесие между спросом и предложением". Автор

"Only the highest competence everywhere and in everything leads to the desired balance between supply and demand." Author

შემოქმედებითი მუზა მომეძალა და კონკურენციის ობიექტური კანონის ჩემი "უდიდესი აღმოჩენის" იდეალიზებული გრაფიკული ინტერპრეტაცია შევიმუშავე, სადაც კონკურენციის ძალაზე (I) ორი უცნობის დამოკიდებულებაა წარმოდგენილი (ჯერ უცნობი აბსცისა R განვიხილოთ დანართის N1 შესაბამისად, შემდეგ უცნობი აბსცისა N - დანართის N2 შესაბამისად).

როგორც კონკურეციის საკითხზე ჩემს თეორიულ განზოგადებებშია წარმოდგენილი და დეტალურად ახსნილი [1, გვ. 10; 5, გვ. 5], კონკურენციის ძალა მით მეტია, რაც ნაკლებია ყველაზე დიდი მიმწოდებელი ბაზარზე (ე.წ. წინაღობა - R). ამ შემთხვევაში, ცალსახად უკუპროპორციული დამოკიდებულები ვლინდება, რაც წარმოდგენილია 1-ლ გრაფიკზეც.

ბუნებრივია, სხვადასხვა ერთგვაროვან ბაზარზე სხვადასხვაა "წინაღობის" ყველაზე ეფექტიანი ოპტიმალური დონეები (გრაფიკზე Rmin), რასაც, ყოველი კონკრეტიკის შემთხვევაში, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება ესაჭიროება დამატებით.

როგორც ცნობილია, კონკურენციის ძალა დამოკიდებულია ერთგვაროვან ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიათა რაოდენობაზეც (N), მაგრამ აქ რამდენიმე მაგრამთან გვაქვს საქმე - მ.შ. რაოდენობის ხელოვნურმა ზრდამ შეიძლება არარელიზებული პროდუქციის დიდი დანაკარგები გამოიწვიოს (მაგალითისათვის,

ძალზე ბევრმა აფთიაქმა შეიძლება გაამრავლოს ვადაგადაცილებული უხარისხო წამლების ფალსიფიკაცია) ან შენიღბოს მონოპოლია-ოლიგოპოლიის არსებობა (როცა ბაზარზე, ფაქტიურად, 1-2-3-4 მიმწოდებელია და, მოჩვენებით, ძალზე ბევრი მცირე აფთიაქიცაა წარმოდგენილი). ყოველივე აღნიშნულს მუდმივი დაკვირვება ესაჭიროება და, საბოლოოდ, სტრატეგიაში ჩვენ კონკურენციის რაციონალურ დონესთან მიახლოება გვჭირდება, როგორც ეს გრაფიკულადაა (დანართი N2) წარმოდგენილი, სადაც კონკურენციის ძალის ოპტიმალური ობიექტური დონე სხვადასხვა დაკვირვების (ჭარბი ან დეფიციტური პროდუქტების მონიტორინგის ჩათვლით) განზოგადებით ერთი წერტილში უნდა იკვეთებოდეს.

აშშ-ში მეცნიერულად არგუმენტირებულმა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობამ გაუძლო დროის გამოცდებს და ზედმიწევნით მკაცრი და დახვეწილია მოთხოვნებიც მის აღსრულებაზე. ჩვენს შრომებში [1-10] წარმოდგენილი სიახლეები ავსებს და ორიგინალური ხედვებით ამრავალფეროვნებს ამერიკულ და მის საფუძველზე აღმოცენებულ ევროპულ და აზიურ ანტიმონოპოლიურ პრაქტიკას. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია და, რაც შეიძლება სწრაფად, მაქსიმალურად კომპეტენტური ანტიმონოპოლიური უწყებების საერთაშორისო კოორდინაცია, ვინაიდან, მარტო ქვეყნის კანონმდებლობა ვერ ერევა საერთაშორისო ბუნების მონოპოლიებსა და შეთანხმებებს.

როგორც მეცნიერ-ეკონომისტმა, დაინტერესებული არაეკონომისტი მკითხველისათვის მარტივად მინდა ავხსნა, რომ ეკონომიკური მოვლენების მათემატიკური სიზუსტით წარმოდგენა შეუძლებელია - აქ მრავალი ფაქტორი მოქმედებს - წარმოუდგენლად ბევრი, თან მოულოდნელი, ამიტომ, ხშირად, იდეალიზებას ვახდენთ და, როგორც მოთხოვნა-მიწოდების მრუდების დროს, ეკონომიკურ მოვლენას 2 განზომილებაში შევისწავლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უალტერნატივო ფაქტია, რომ „მხოლოდ კომპეტენტურობის მაქსიმუმი ყველგან და ყველაფერში განაპირობებს მოთხოვნა-მიწოდების საჭირო წონასწორობას“ - ამიტომაც შევარჩიე ეს ფრაზა ჩემი წარმოდგენილი შრომის წანამძღვრად და სტრატეგიულ ლეიტმოტივადაც.

რაც შეეხება აფთიაქებს, რაც გრაფიკული დასაბუთების თვალსაჩინოებისათვის ვახსენე - კარგია, რომ ბევრი აფთიაქი გვქონდეს, მეტი იქნება კონკურენციაც მათ შორის, მაგრამ არაბუნებრივად რომ გაიზარდოს აფთიაქების რაოდენობა, ანუ ყველა ეზოში რამდენიმე აფთიაქი გვქონდეს და მათი სარეკლამო ფურცლებით საფოსტო ყუთები „გაიჭედოს“. ეს, ვფიქრობ, დამეთანხმებით, ვადაგადაცილებულ არარეალიზეულ წამლებს მოამრავლებს. ისტორიული მაგალითებიდან ცნობილია, რომ ოლიგოპოლიზებულად შეთანხმებულ ბაზარზე, ხშირია შემთხვევები, როცა ბაზარს ერთი მსხვილი "ჯგუფი" აკონტროლებს 90%-იანი წილით და ასეთი მცირე აფთიაქების ჯამური წვლილი უმნიშვნელოა, რაოდენობა კი მოჩვენებით ბევრი.

ფირმების რაოდენობის ზრდა, ბუნებრივია, ზრდის კონკურენციას და მცირე მეწარმეობაც ამაში დიდად გვეხმარება, მაგრამ მცირე ბიზნესის სტიქიური ხელშეწყობა ყოვლად დაუშვებელია, როცა საკვები პროდუქტების დამამზადებელი, წამლის აღურიცხავ ბაზარზე გამყიდველი ან ტაქსის მძღოლი სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების გარეშეა. კონკურენტთა ასეთმა სტიქიურმა მატებამ მოკლე ჩართვის "ეფექტი" შეიძლება განაპირობოს და, დასაქმების პრობლემების მოგვარების ნაცვლად, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება გამოიწვიოს.

მადლობა უფალს, რომ ფიზიკის დენის ძალის კანონის მსგავსად, ეკონომიკური კონკურენციის ძალის განსაზღვრაში ორიგინალურად დავინახე უფლის ხელი - აქამდე მიიჩნეოდა, რომ ეკონომიკური შეჯიბრი და პირველობისათვის სწრაფვა არათვსებადია ქრისტიანულ დოგმებთან, მაგრამ ჩემი ხედვით "მუსიკალური ჰარმონიულობით" დადასტურდა საწინააღმდეგო - "უფლისგან დაშვებულია, რომ ქრისტიანული და ნებისმიერი სხვა იმ ოჯახის წევრები, მათ შორის ახალშობილებით, რომლებსაც ძალზე უყვართ ერთმანეთი, კეთილი შეჯიბრით ცდილობენ ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, რომ უკეთ გაახარონ ერთმანეთი და დანარჩენი ოჯახის წევრები, მაგრამ ეს შეჯიბრი მათ არ უშლით ხელს, რომ კვლავ ძალზე უყვარდეთ ერთმანეთი. მაგრამ, თუ შეჯიბრი გადადის არაღვთისნიერ ფორმებში, ის, დიდი ალბათობით, შესაძლოა, კეთილსინდისიერ საზღვრებს გადავიდეს და საგანგაშო დაპირისპირებაში გადაიზარდოს".

მაგალითისათვის, უაზრო კონფლიქტებმა გამოიწვია ის, რომ მონოპოლიზებულ კომუნისტურ საქართველოშიც კი თუ ათობით მანქანათმშნებელი საწარმო იყო - საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფაქტიურად, არცერთია. არადა, თანამედროვე მანქანათმშენებლობის გარეშე, დამოუკიდებელი კონკურენტული ეკონომიკა ვერ იქნება და, თუ უნივერსიტეტებმა, ბანკებმა და ხელისუფლებამ ერთად არ იღვაწეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ამის პოტენციალი ქვეყანაში არის. ვხედავდი და ხშირად ვამბობდი, რომ ბაზარზე გარადამავალი პერიოდი ძალზე მძიმე იქნებოდა, ბევრად მძიმე, ვიდრე ყველაზე ცუდ საბჭოთა წლებშიც კი - ბევრს ეს არ ესმოდა, სამწუხაროდ, მაგრამ ამასაც ვამბობ, რომ გამოსწორებადია ყველაფერი, თუ ამ ზემოაღნიშნული მიმართულებით ვივლით და კონკურენტული ბაზრისთვის ვიზრუნებთ.

ურთულესია არაკეთილსინდისიერ მონოპოლიებთან ბრძოლის გზა. ისტორიულად, სამწუხაროდ, ასეთი მებრძოლი განწყობილების მრავალი გენიალურად მოაზროვნე შემოქმედი დაუფასებელი ან საერთოდ შეუმჩნეველი, ზოგიც არაადამიანურად დამცირებული, რეპრესიებითა და ხელოვნური კატასტროფებით განადგურებული ან მარტოობაში დაავადებული დარჩა თავისი დროის უვიც ხელისუფალთა მხრიდან, მაგრამ მადლიერმა შთამომავლობამ არ უნდა დავივიწყოთ მათი ღვაწლი და, მთავარია, გულით მოვიხსენოთ ლოცვებში უნიჭიერესი მემკვიდრეობისათვის.

გრაფიკებზე გამოსახული წონასწორობის მიღწევის გზაზე, ოპტიმისტურად გამახარა ჩვენს მთავარ საგამოფენო ცენტრში სპორტულ-სარეაბილიტაციო მედიცინისა და ინოვაციური ლიზინგის ქართულმა სიახლეებმა და კარგი იქნება, თუ ასეთი სახის გამოფენები ყოველწლიური ტრადიციის სახეს მიიღებს და აქაურ ნამდვილად საუკეთესო ბუნებრივ პირობებში მუდმივმოქმედი მრავალდარგობრივი ტექნოპარკიც დაწესდება ადგილობრივი მთავრობის, ბანკებისა და უნივერსიტეტების მონაწილეობითა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით.

გამოყენებული წყაროები

1. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის რაციონალური ძალის დაცვისათვის მითიდან კანონზომიერების აღმოჩენამდე. - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2014, ISBN 978-9941-0-7312-0 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/69407
2. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის გავლენა ტემპებსა და პროპორციებზე მსოფლიო ეკონომიკაში. – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2015, ISBN 978-9941-0-7992-4 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/104603
3. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის რაციონალური ძალის დაცვისათვის მითიდან კანონზომიერების აღმოჩენამდე. - 2014, ISBN 978-9941-0-7312-0 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/69407
4. რევაზ ლორთქიფანიძე, საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების შესახებ კომენტარები. – 2015, ISBN978-9941-0-7882-8(PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/102435
5. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის ობიექტური კანონზომიერება (ინგლისურ ენაზე), 2015, ISBN 978-9941-0-7342-7 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/73769
6. რევაზ ლორთქიფანიძე, კომპიუტერული თაობა ადამიანის ეკონომიკური კეთილდღეობის დიდი ნახტომისათვის. - თბილისი, წმ. ქაშვეთში მოღვაწე მამაღვთისოს კურთხევით, 2015, ISBN 978-9941-0-7587-2 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/87017
7. რევაზ ლორთქიფანიძე, ეკონომიკური კონკურენციის კანონის ნიშან-თვისებების აღმოჩენა და ინდექსები დენის ძალის კანონის მსგავსად (რუსულენაზე), 2014, ISBN 978-9941-0-6792-1, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47189
8. რევაზ ლორთქიფანიძე, საერთაშორისო ანტიმონოპოლიური პოლტიკისათვის სიღარიბის წინააღმდეგ მსოფლიო ეკონომიკის ეფექტიან სტრუქტურაში: კონცეფცია (ინგლისურ ენაზე), 2014, ISBN 978-9941-0-6784-6, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47096
9. რევაზ ლორთქიფანიძე, გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის, 2014, ISBN 978-9941-0-6301-5, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377
10. რევაზ ლორთქიფანიძე, “პოტენციური მაკროეკონომიკური კონკურენტუნარიანობისა და ცხოვრების ხარისხის შესახებ (თეოლოგიური და ეკონომიკური მეცნიერებებისა და პროფილაქტიკური მედიცინისა და მასობრივი სპორტის საკითხები). – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2015, ISBN 978-9941-0-8166-8 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/119026/1/Konkurentunarianoba.pdf

დანართი N1

ეკონომიკური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერება



დანართი N2

კონკურენტ კომპანიათა რაოდენობასაც ოპტიმიზება უნდა